პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 37 (4031) 22 1970 წ. თებერვალი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეკორდები

მოსკოვი, 21 თებერვალი. წლევანდელი სეზონი „ფარფლიანებმა" წარმატებით გახსნეს — ადგილობრივ აუზ „ოქტიაბრსკიში" სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მოცურავეების აქ დაწყებული საკავშირო ჩემპიონატის პირველივე დღე ქვეყნის 8 ახალი რეკორდით აღინიშნა სწრაფცურვაში: ევროპის ჩემპიონმა, ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. კრასნიკოვმა 400 მ 3 წუთსა და 44,7 წამში დაფარა, ხოლო ქალთა შორის ამავე დისტანციაზე ცურვაში თავი გამოიჩინა ნოვოსიბირსკელმა ნ. ოკუნევამ — 4.17,2. მესამე საკავშირო რეკორდი დაამყარა უსტ-კამენოგორსკელმა ნადეჟდა ტურუკალომ — 100 მ აკვალანგით მან 51,1 წამში გაცურა.

ნაპალკოვის დუბლი

შტრბსკე-პლესო, 21 თებერვალი. მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში დღეს გათამაშდა კიდევ ერთი ოქროს მედალი. მისი მფლობელი გახდა საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურე" გ. ნაპალკოვი (გორკი) — 226 ქულა. საშუალო ტრამპლინზე მოპოვებულ ოქროს მედალს მან დიდი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებაც დაუმატა. თანაც, ნაპალკოვის მეორე ნახტომი — 109,5 მ — ტრამპლინის ახალი რეკორდია.

მას დიდი მეტოქეობა გაუწია ჩეხოსლოვაკიელმა ი. რაშკამ, რომელიც საბოლოოდ 212,3 ქულით II ადგილზე გავიდა.



კაკულიამ აჯობა ვიაჩესლავ ეგოროვს

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში დასასრულს უახლოვდება. კარგად თამაშობს თბილისელი თ. კაკულია, რომელიც ნახევარფინალში გავიდა. მერვედფინალში მან მეტად დაძაბულ ბრძოლაში სძლია ვიაჩ. ეგოროვს — 11:9, 7:9, 7:5. აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ეგოროვი თვალსაჩინოდ დაწინაურდა (4:1), მაგრამ კაკულიას ფარ-ხმალი არ დაუყრია: მან ჯერ გაათანაბრა მდგომარეობა, შემდეგ კი დინჯად, მეთოდურად ითამაშა და საწადელსაც მიაღწია. მეოთხედფინალში კაკულია შეხვდა რუმინელ მერმურიანუს და იოლად დაამარცხა მეტოქე — 6:1, 6:2.

ნახევარფინალის საგზურები კაკულიასთან ერთად მოიპოვეს ლეიუსმა (მეოთხედფინალში დაამარცხა პოლონელი რიბარჩიკი — 6:3, 6:2), კოროტკოვმა (მოუგო პესჩანკოს — 8:6, 7:5) და პალმანმა (სძლია ივანოვს — 3:6, 6:2, 9:7).

ქალთა ერთეულების ნახევარფინალში გავიდნენ მოროზოვა (დაამარცხა კული — 6:3, 6:2), გფრ-ის ჩემპიონი ნისენი (მოუგო პარმასს — 6:2, 6:3), ინგლისელები უილიამსი (აჯობა ისლანოვას — 6:4, 6:4) და ტრუმენი (დაამარცხა ჩუვირინა — 7:5, 6:1).

კვლავ სასიხარულო ცნობები

მოსკოვი, 20 თებერვალი (ტელეფონით). დღეს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ო. მოროზოვამ, რომელსაც დღეს შეუსრულდა 20 წელი, საინტერესო ბრძოლაში აჯობა ნ. ტრუმენს. მესამე ხელში, როცა ანგარიში 5:0 იყო მოროზოვას სასარგებლოდ, მოსკოველმა ყურადღება მოადუნა და კინაღამ ხელიდან გაუშვა გამარჯვება: ტრუმენი 20 წუთში დაეწია მეტოქეს და დაწინაურდა კიდეც — 6:5. მაგრამ მოროზოვა დროზე გამოფხიზლდა, საუცხოოდ ჩაატარა შეხვედრის დაბოლოება და მიზანსაც მიაღწია. მატჩის ანგარიშია 6:3, 3:6, 8:6. ახლა ფინალში იგი შეხვდება კ. ნისენს, რომელმაც ნახევარფინალში იოლად დაამარცხა ჯ. უილიამსი — 7:5, 6:3.

ვაჟთა ერთეულების ფინალში ითამაშებენ ძველი ნაცნობები — მოსკოველი ვ. კოროტკოვი და თ. კაკულია.

აი, ფინალისტები დანარჩენ თანრიგებში: მოროზოვა, ზ. იანსონე (სსრ კავშირი) — ტრუმენი, უილიამსი; ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი — ვიაჩ. ეგოროვი, კოროტკოვი. შერეულ წყვილთა თანრიგის ფინალში ჯერჯერობით მხოლოდ მოროზოვასა და მეტრეველის დუეტი გავიდა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვაჟთა წყვილების შეხვედრის მომენტი. თამაშობენ პ. მერმურიანუ, ს. დრონი (რუმინეთი) და თ. კაკულია, ვ. პესჩანკო (სსრ კავშირი). წინა პლანზე არიან რუმინელები.

ფოტო ი. შალამოვისა. („კომსომოლსკაია პრავდა").

20.45

◆ სოჭი, 21 თებერვალი. დღეს ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ საწვრთნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვეს ქვეყნის ჩემპიონებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს: სპარტაკელთაგან — იანკინმა და სილაგაძემ, ქუთაისელთაგან — ხერხაძემ.

◆ ესტერსუნდი, 21 თებერვალი. იუნიორ ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა 3×7,5 კმ-ზე ესტაფეტაში. გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა. II ადგილზე გავიდნენ შვედები.

საპატიო წიგნის თავფურცელი

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა წლეულს პირველად შემოიღო საპატიო წიგნი, რომელშიც შეიტანენ განსაკუთრებით დამსახურებული და საპატიო მწვრთნელების გვარებს.

საპატიო წიგნის პირველ გვერდზე მოხვდა აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი კ. გუგუშვილი. ამ მწვრთნელის სახელი კარგად არის ცნობილი. მან აღზარდა მაგიდის ჩოგბურთის ბევრი სახელოვანი ოსტატი, მათ შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. სარხოიანი, სპორტის ოსტატები თ. რამაზაშვილი, ს. პარფინიდი, გ. ლევინა, ი. პასტიანიდი და სხვ.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ლიმა, 21 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუშინ აქ ამხანაგური მატჩი მოუგო პერუს ეროვნულ გუნდს — 2:0. ფეხბურთის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სტუმრები აშკარად სჯობდნენ თავიანთ მეტოქეებს, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში.

ორივე ბურთი გაიტანა პუზაჩმა: 75-ე წუთზე მან კარგად გამოიყენა სერებრიანიკოვის საუცხოო გადაცემა და ანგარიში გახსნა. 79-ე წუთზე კი პერუელთა საჯარიმო მოედანზე აჯობა ორ მცველს და — 2:0.

პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშა საბჭოთა ნაკრების მეკარემ ა. კავაზაშვილმა, რომელმაც რამდენიმე სახიფათო ბურთი მოიგერია.

მინდვრის ცენტრს დაეუფლნენ სერებრიანიკოვი (მან მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა მუნტიანი) და პაპაევი.

სსრ კავშირის ნაკრებმა კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა.

ეს მატჩი თავდაპირველად ოთხშაბათს იყო დანიშნული, მაგრამ პერუს ნაკრების მწვრთნელმა დიდიმ სთხოვა საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელს გ. კაჩალინს გადაედოთ შეხვედრა. „ჩემი ბიჭები დაღლილი არიან და მინდვრის ბალახსაც შესაკეთებელია", — უთხრა კაჩალინს დიდიმ.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კავაზაშვილი, ლოგოფეტი, ხურცილავა, აფონინი, კაპლიჩნი, პაპაევი, მუნტიანი (სერებრიანიკოვი), ასათიანი, პუზაჩი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი.

პუზაჩის 2 გოლი

ახალი ამბები

● ესტერსუნდი, 20 თებერვალი. ბიატლონში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონობა მოიგო 19 წლის იჟევსკელმა გ. ბურანოვმა, რომელმაც 15 კმ-ზე რბენაშიც საუკეთესო შედეგი აჩვენა და სროლაშიც ყველაზე ზუსტი იყო: მხოლოდ 1 წუთით დაჯარიმდა. მისი საბოლოო შედეგია 1:05.46,8. II ადგილზე გავიდა ბ. სტატინი (შვეცია) — 1:08.41,9 (2 საჯარიმო წუთი), III — ტ. ბიორნედალი (ნორვეგია) — 1:09.17,6 (3).

საიმედო ახალგაზრდობა

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში თბილისელი, თელაველი, ხაშურელი, ქუთაისელი და ბათუმელი სამბისტები მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ხალიჩაზე არ გამოვიდნენ ჭიდაობის ამ სახეობის უძლიერესი ოსტატები გ. ნონიკაშვილი, ფ. მარტყოფლიშვილი, ნ. ბეინიშვილი, გ. ნინიაშვილი, ა. მარგველანი და სხვები, ბრძოლა მაინც საინტერესო გამოდგა და, რაც მთავარია, მან პერსპექტიული მოჭიდავეები გამოავლინა. მათ შორის განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ თელაველი ს. კევლიშვილი და თბილისელი ე. გიგუაშვილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. აკოფოვი (ხაშური), ზ. სახვაძე, ჯ. ჯანანაშვილი (ორივე — თბილისი), ჯ. ფხაკაძე (ქუთაისი), ე. გიგუაშვილი; ს. ნიჟარაძე, შ. გულიაშვილი (სამივე — თბილისი), ი. ელოშვილი (თელავი), ნ. ზაზუნიშვილი (თბილისი).

ა. ფიცხელაური,
სპორტის ოსტატი.

ჩვენი მამა რესპუბლიკაში

როცა ოჯახში სპორტი უყვართ

აზერბაიჯანის ნაკრებში კვლავ გამოჩნდა კორნელიუკების გვარი. ახლა რესპუბლიკის მძლეოსანთა რაზმში შევიდა ნატაშა, ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერის ა. კორნელიუკის უმცროსი და. იგი ბაქოს მე-20 სკოლის X კლასის მოსწავლეა.

ალექსანდრესა და ნატაშას მამა რესპუბლიკაში კარგად ცნობილი ძალოსანია. მან თოთხმეტჯერ მოიპოვა აზერბაიჯანის ჩემპიონის სახელი. მის ანგარიშზეა ასზე მეტი რესპუბლიკური რეკორდი, რომელთაგან უკანასკნელი 18 წლის წინ იყო დამყარებული და მხოლოდ 1969 წელს მოიხსნა.

როცა ალექსანდრეს 8 წელი შეუსრულდა, მამამ დაბადების დღეს თვითნაკეთი შტანგა აჩუქა და იმედი ჰქონდა, რომ მისი ვაჟი ძალოსანი გამოვიდოდა. მაგრამ შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ ბიჭისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა სპორტში მეცადინეობა მძლეოსნობით დაეწყო. ცნობილმა სპორტსმენმა თავისი ვაჟი სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. საფაროვს მიუყვანა და სთხოვა, ბიჭი ჯერ შენს ჯგუფში მიიღე და რომ გაიზრდება, მე თვითონ მოვუვლიო.

მაგრამ ალექსანდრე ისე გაიტაცა მძლეოსნობამ, რომ ძალოსნობაში ვარჯიში აღარც მოჰგონებია. 1968 წელს მან 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა და განაახლა ქვეყნის რეკორდი ჭაბუკებისთვის, ამასთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. შარშან ალექსანდრემ ეს შედეგი კიდევ 0,1 წამით გააუმჯობესა.

ა. ნიკოლსკი.
(აზერბაიჯანის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ბაქო.

მოსკოვის სპორტული ცენტრი

როდესაც მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელებმა 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად საბჭოთა დედაქალაქის კანდიდატურა წამოაყენეს, ისინი, ცხადია, ითვალისწინებდნენ, რომ ამ ქალაქში უკვე ამჟამად არის სპორტული ნაგებობების სათანადო კომპლექსი. ეს კომპლექსი საკმარისია, რომ პასუხსაგები ასპარეზობა ჩატარდეს როგორც მაყურებლებისთვის, ისე სპორტსმენებისთვის აუცილებელი კომფორტით.

აპნ-ის კორესპონდენტმა მ. ზასლავსკიმ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დირექტორს, მოსკოვის საბჭოს დეპუტატს მ. ბორისოვს სთხოვა ეამბნა საბჭოების დედაქალაქის უდიდეს სპორტულ კომპლექსზე.

— ჩვენს გიგანტურ სპორტულ კომპლექსს, — დაიწყო ბორისოვმა, — ზოგი „ჯანმრთელობის ქალაქს“ ეძახის, ზოგი „ქვეყნის მთავარ სტადიონს“ და ზოგიც სხვა სახელს. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ ჩვენს სტადიონს, რომელიც დედაქალაქის თვალწარმტაც სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მოსკოვის საქცევშია განლაგებული, შეიძლება ულამაზესი არქიტექტურული ანსამბლი ვუწოდოთ.

ცენტრალური სტადიონის ტერიტორია, თუ არ ჩავთვლით მისადგომ გზებს და საავტომობილო სადგომებს მის მოაჯირს გარეთ, 140 ჰექტარს შეადგენს. მე ნამყოფი ვარ ტოკიოსა და მეხიკოში, მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში, მაგრამ ასეთი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებების ჩატარებისთვის ტექნიკური თვალსაზრისით ჩინებულად მოწყობილი ნაგებობებით სავსე მასივები არსად მინახავს.

კომპლექსში შედის დიდი სპორტული სარბიელი 103 ათასი ადგილით, მცირე სპორტული სარბიელი კალათბურთისთვის, ფრენბურთისთვის და სხვა თამაშებისთვის, საერთაშორისო მოთხოვნების შესაფერისი აუზი ხუთი აბაზანით — მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა სამეფო, სპორტის სასახლე (14 ათასი ადგილი), ხელოვნური საციგურაო „კრისტალი“, კომპლექსური საბავშვო სპორტული ქალაქი. როგორც დიდი, ისე მცირე სპორტული სარბიელის ქვეშ განლაგებულია დახურული მძლეოსნური მანეჟი და 22 დარბაზი, სადაც სპორტის 13 სახეობაში შეიძლება ვარჯიში. მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

სტადიონის ტერიტორიაზეა მოწყობილი 10 საფეხბურთო მინდორი, 4 მძლეოსნური ბირთვი 400-მეტრიანი ბილიკებით, ფრენბურთის 20 და კალათბურთის 13 მოედანი, ჩოგბურთის 33 კორტი, ტანმოვარჯიშეთა ქალაქი, მოედნები ხელბურთის, ბადმინტონისა და რუსული ხალხური თამაშის — რიკაობის მოყვარულთათვის.

ყველა ეს ნაგებობა ენაცვლება ზურმუხტოვან გაზონებს, მზიან მდელოებს, ჩოგბურთის ხეივნებს, არყის ჭალებს. ლენინის მთების სიმაღლიდან ცენტრალური სტადიონი ნახევარკუნძული გეგონებათ, რომელსაც გარს მდინარის ფართო არშია აქვს შემორტყმული.

ცენტრალური სტადიონი უშენ ადგილზე აიგო სარეკორდოდ პატარა დროში. 90 დღე — პროექტირებისთვის, 450 — აგებისათვის. გადაწყვეტილება ამ ბაზის მშენებლობის შესახებ 1954 წლის 23 დეკემბერს გამოიტანეს. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქის ბევრმა მცხოვრებმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ. 1956 წლის 31 ივლისს მშენებელთა და მოსკოველთა მასობრივ მიტინგზე მხურვალე ოვაციებით შეეგებნენ განცხადებას, რომ ახალ სტადიონს ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, თუ ასეთი სარეკორდო ტემპები 15 წლის წინათ იყო შესაძლებელი, ამჟამად, როცა საბჭოთა ინჟინრებისა და მუშების ხელთაა უფრო თანამედროვე, მძლავრი სამშენებლო ტექნიკა, ახალი მეთოდები და ასეთი ნაგებობების შექმნის დიდი გამოცდილება, მოსკოვს შეუძლია ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მისცეს გარანტია, რომ ყველაფერი აუცილებელ ვადებში იქნება მზად.

სავსებით ბუნებრივია, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, არბიტრები და მონაწილეები უნდა დააინტერესოს საკითხმა — აქვთ თუ არა ჩვენი სპორტული კომპლექსის მუშაკებს დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების გამოცდილება? ამ შეკითხვაზე ჩვენ სრული დამაჯერებლობით შეგვიძლია დადებითად ვუპასუხოთ. ძალიან ძნელია ჩამოთვალო ჩვენში ჩატარებული ყველა მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატი ფრენბურთსა და კრივში, ფარიკაობასა და კალათბურთში, ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში; ყველა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, მშვილდოსნობაში, სროლაში, ძალოსნობაში და, რასაკვირველია, ფეხბურთში. უნდა ითქვას, რომ წლეულს აპრილში ჩვენს სპორტის სასახლეში გაიმართება ევროპის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც, სულ ცოტა, 30 ქვეყნის გუნდების მონაწილეობაა მოსალოდნელი.

აქვე აუცილებელია დავუმატო, რომ ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს კომპლექსური შეჯიბრებების ჩატარებაში, რომლებიც მოცულობით თითქმის ოლიმპიადებს უტოლდებიან. ჯერ კიდევ 1957 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიები, აგრეთვე, ფესტივალის სპორტული ნაწილი. ჩვენს სტადიონზე იმართება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომლებშიც 10 ათას სპორტსმენს მიუღია მონაწილეობა.

ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მუშაკები წლეულს ემზადებიან მაყურებლის შესახვედრად, რომელიც ამ სტადიონზე სხვადასხვა შეჯიბრების სანახავად მოსულთა უკვე მესამე მილიონს ხურავს. მას გადასცემენ სუვენირს — „მუდმივ საშვს“ ყველა იმ შეჯიბრებაზე დასასწრებად, რომელიც კი ჩვენს სტადიონზე გაიმართება. ხოლო თუ მოსკოვს 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ნებას დართავენ, საშვის მფლობელი ორმაგად ბედნიერი იქნება.

ჩვენს სტადიონზე მოსული ხალხი შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავყოთ. პირველ და ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას მაყურებლები წარმოადგენენ. მათზე უკვე ზევით ვისაუბრეთ. შემდეგ მოდის ყველა ის, ვინც აპირებს აქტიურად ივარჯიშოს სპორტში. ამისთვის აქ სათანადო პირობებია შექმნილი: დიდი სარბიელის უდიდესი ტრიბუნების ქვეშ განლაგებულია 14 დარბაზი, სადაც შეიძლება წვრთნა ტანვარჯიშში, კრივში, ფარიკაობაში, ჭიდაობის ყველა სახეობაში, ფრენბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ყველა დარბაზი ისეა მოწყობილი, რომ სავსებით უპასუხებს ვარჯიშის თანამედროვე მოთხოვნებს.

მესამე კატეგორიას საერთო ფიზიკური მომზადების მონაწილენი წარმოადგენენ. ამ ჯგუფებში ყოველწლიურად მეცადინეობს დაახლოებით 10 ათასი კაცი, 6-დან 60 წლის ასაკამდე. ისინი იკაჟებენ ჯანმრთელობას მრავალნაირი ფიზიკური ვარჯიშით, სწავლობენ ცურვას, სწავლობენ თამაშს ჩოგბურთში, კალათბურთში... დაბოლოს, ჩვენთან მოდიან ისინი, რომელთაც სურთ აქ დასვენება, სეირნობა, სუფთა ჰაერზე ყოფნა, ბუნების მზერა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჩვენი სტადიონი ოლიმპიურად იქცევა, შევძლებთ წინა წლების ოლიმპიურ დედაქალაქებზე უკეთ გადავწყვიტოთ მაყურებელთა ტრანსპორტით მომსახურების პრობლემა. უკვე ახლა სტადიონთან მიგიყვანთ მეტროს ორი სადგური, ავტობუსებისა და ტროლეიბუსების მრავალი მარშრუტი, ფართო ავტოტრასები, დაბოლოს, საწყლოსნო გზა მდინარე მოსკოვზე, რომელზეც რეგულარულად მოძრაობენ კატარღები და თბომავლები.

ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის, რომ სპორტული მიღწევების დონის მძაფრი ზრდა მთელს მსოფლიოში მზარდ მოთხოვნილებებს წამოაყენებს სპორტული ნაგებობებისადმი. დღეს, მაგალითად, ოლიმპიურ სარბენ ბილიკს ვერ წარმოიდგენ ტარტანის სინთეტური საფარის გარეშე. ქრონომეტრებმა უნდა აღრიცხონ დრო 0,01 წამის სიზუსტით და ა. შ. ბუნებრივია, რომ მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გათვალისწინებული აქვთ ეს მოთხოვნები. ჩვენთან ერთი დღითაც არ წყდება სპორტული ობიექტების მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროცესი.

უკვე ამჟამად სპორტის სასახლეში დგას ახალი ასომბეჭდავი ელექტროტაბლო. შემდეგი საკითხია კონდიციონერების, ბგერათაკუსტიკური სისტემის, ელექტროგანათების მოდერნიზაცია.

იქმნება ახალი ობიექტები — ტყორცნის მოედანი, მშვილდოსნობის მინდორი. მუშავდება დახურული უნივერსალური დარბაზის პროექტი 2500-3000 მაყურებლისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება შეჯიბრებების ჩატარება სპორტის კიდევ 12 სახეობაში.

საბჭოთა ინჟინრებმა დამპროექტებლებთან და კონსტრუქტორებთან ერთად უნდა გადაწყვიტონ კიდევ ერთი მიმზიდველი, მაგრამ რთული საინჟინრო პრობლემა: ჩვენ გვსურს ეკონომიური, მაგრამ საიმედო ხერხით დახურულ ნაგებობად გარდავქმნათ მცირე სპორტული სარბიელი და საცურაო აუზი.

მე და ჩემი კოლეგები დავესწარით ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადებს, სადაც ბევრი საჭირო და სასარგებლო რამ ვნახეთ თამაშების ორგანიზაციის მხრივ. თამაშების ორგანიზატორებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს რადიო და ტელეკომენტატორების, პრესისა და საინფორმაციო სააგენტოების ნორმალური მუშაობისთვის. განსაკუთრებით სასარგებლოა ელექტრონული მოწყობილობების — კომპიუტერების საშუალებით შეჯიბრებების შედეგების სწრაფი დამუშავებისა და პრესის წარმომადგენლებისთვის მათი გადაცემის გამოცდილება. მალე ჩვენც შევუდგებით სტადიონზე ინფორმაციის სისტემის სრულყოფას.

ბოლოს მინდა მოვიყვანო ჩვენი სტუმრების მხოლოდ ორი შეხედულება:

„თქვენი სტადიონი დიდებულია. ასეთი შესაძლებლობების მქონე საბჭოთა ატლეტები მომავალშიც ისეთივე წარმატებით უნდა გამოვიდნენ შეჯიბრებებში, როგორც წარსულში.

ლ. ბურეი,
ავსტრალიის სპორტული მოღვაწე ქალაქ ბრიზბეინიდან“.

„ჩვენ, ამერიკელი პედაგოგები, აღფრთოვანებული ვართ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამ ყოვლისმომცველი გრანდიოზული ნაგებობით.

ვ. როჯერი,
აშშ-ს განათლების ინსპექტორთა ჯგუფის სახელით“.

პატარა რაინდების ბრძოლა

თბილისში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, ოთხჭიდსა და სამჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს (3 გუნდი), უკრაინის, მოსკოვის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები.

სამჭიდში ასპარეზობდნენ 13-14 წლის ბიჭები. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა უკრაინელმა ს. რეპეტენკომ, II ადგილზე გავიდა თ. ახალშენიშვილი (საქართველო), ხოლო III — რსფსრ-ს მეორე გუნდის წარმომადგენელი ა. სიდორინი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა, II ადგილზე გავიდნენ საქართველოს წარმომადგენლები, ხოლო III — რსფსრ-ს პირველი გუნდის წევრები.

15-16 წლის ოთხჭიდელ ჭაბუკებში, ისევე როგორც თანამედროვე ხუთჭიდში, ჩემპიონობა მოიპოვა რსფსრ-ს პირველი გუნდის წარმომადგენელმა ს. სურკოვმა. მეორე იყო ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრი ზ. ბაროიანი, III — ა. გოროდეცკი (რსფსრ II). გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ I, საქართველო, რსფსრ II.

17-18 წლის ჭაბუკები ხუთჭიდში ასპარეზობდნენ. გამარჯვებული სურკოვის შედეგია 3744 ქულა. II და III ადგილებზე გავიდნენ უკრაინელები ბ. ბირჩენკო და ე. ალბრეგინი (შესაბამისად, 3408 და 3156 ქულა). გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს უკრაინელებმა. II ადგილზეა რსფსრ-ს მეორე გუნდი, III — რსფსრ-ს მესამე კოლექტივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა — 10304 ქულა, 2. რსფსრ II — 9417, 3. საქართველო — 9236, 4. რსფსრ I — 9082, 5. მოსკოვი — 8316, 6. რსფსრ III — 7986, 7. სომხეთი — 6996.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული.

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

სურათზე: თანამედროვე ხუთჭიდში შეჯიბრების პრიზიორები (მარცხნიდან) — ს. სურკოვი, ბ. ბირჩენკო, ე. ალბრეგინი.

ფოტო ავტორისა.



ფიზკულტურაზე ზრუნვით

კვების მრეწველობის სამინისტრო და კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ბოლო ხანებში ყურადღებით ეკიდებიან კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ დაყენების საქმეს. კვების მრეწველობის სამინისტრომ სპეციალური ხარჯებიც გამოჰყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის ჩასატარებლად. „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ მასობრიობისთვის თავდაპირველად კოლექტივებში ჩაატარა პირველობები. ფინალური ასპარეზობა კი, რომელიც თბილისში გაიმართა, მხოლოდ პირადი იყო.

ჩვენ ადრე ვიუწყებოდით მოკრივეთა შეჯიბრების შედეგებზე. დღეს დანარჩენ სახეობებზე გვექნება საუბარი. ფინალური ტურნირები ყველაზე მასობრივი თავისუფალ ჭიდაობასა და მძლეოსნობაში გამოდგა. თბილისელმა მძლეოსნებმა პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში დაჯაბნეს მეტოქეები. სტუმართაგან მხოლოდ ქუთაისელ ლ. მესხს ხვდა პირველობა 400 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ლ. ორლიხინას. სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა ც. ჩოლოაშვილმა, სიმაღლეზე ხტომაში — ი. ქუბაევამ, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში — ვ. კომაროვამ. სპორტის ოსტატმა გ. სტეფანოვმა მოიგო 100 და 200 მეტრზე რბენა. 400 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ს. ახვლედიანმა, 800 მეტრზე — ი. პაპიაშვილმა...

თავისუფალ ჭიდაობაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: შ. კოტორაშვილი, ი. კიკნაძე, ნ. ველიევი, ნ. კელდიშვილი, ზ. ბუზარიაშვილი, დ. ბოჩაშვილი, გ. გუჩმაზაშვილი (ყველა — თბილისი), დ. ბერუაშვილი (ცხინვალი), ა. თავხელიძე (ქუთაისი), გ. გორგილაძე (ბათუმი).

საფარიკაო ბილიკზე თბილისის, ზესტაფონის, სოხუმისა და ქუთაისის 67 სპორტსმენი გამოვიდა. თბილისელთა უპირატესობა აქაც აშკარა იყო, ოღონდ ზესტაფონელ გოგონას რ. ასკილაშვილს ხვდა II საპრიზო ადგილი რაპირით ფარიკაობაში. ჩემპიონი გახდა ნ. ბენდიაშვილი. ვაჟებში გაიმარჯვა ზ. მაჩაიძემ. ხმლით ფარიკაობაში უძლიერესი იყო რ. ბინიაშვილი, დაშნით ფარიკაობაში — ე. ირემაშვილი.

ველოსპორტში მხოლოდ ვაჟთა პირველობა ჩატარდა. სტარტზე გამოსვლის სურვილი სპარტაკელებს გარდა „კოლმეურნის“, „დინამოსა“ და არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლებმაც განაცხადეს. ამიტომაც იყო, რომ 100 კმ-ზე რბოლაში (საბოლოოდ ტრასის სიგრძე 103 კმ აღმოჩნდა) 52 სპორტსმენი ჩაება. დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა სპარტაკელმა ვ. რთველიაშვილმა — 2:31.48. 25 კმ-ზე რბოლაში პირველი იყო შ. დაიაური („სპარტაკი“) — 36.08. რთველიაშვილმა III ადგილი დაიკავა — 36.13. ამ უკანასკნელს თავის მხრივ 2 წამით აჯობა II ადგილზე გასულმა ვ. მალევანიკმა („დინამო“).

თ. ბაჩიჩილაძე.

მეგობრული მატჩები

ამას წინათ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტდარბაზში მოეწყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ადგილობრივ და პლოვდივის სტუდენტ კალათბურთელთა შორის.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა გუნდების თამაში. ბულგარელი სტუმრების უპირატესობა ცხადი იყო და მათ გაიმარჯვეს კიდეც — 66:58.

უფრო დაძაბული გამოდგა ვაჟთა კოლექტივების შეხვედრა: უპირატესობა ხან ერთ გუნდს ჰქონდა, ხან მეორეს. მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა ანგარიში 61:61. ვინაიდან დამატებითი დრო დებულებით არ იყო გათვალისწინებული, შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ვ. შიუკაშვილი.

გორი.

შოვის თეთრ ბილიკებზე

ამას წინათ კურორტ შოვში ჩატარდა ონის რაიონის პირადი პირველობა სათხილამურო სპორტში.

3 კილომეტრზე გოგონათა რბენაში I ადგილი დაიკავა ნ. ბალაშვილმა, II ადგილზეა ლ. ბიჭაშვილი, III — ლ. სულთანიშვილი (ყველა—გლოლის საშუალო სკოლა).

5 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა სულთანიშვილმა. II ადგილი ხვდა ბიჭაშვილს, III — ბალაშვილს.

ვაჟთა შორის 5-კილომეტრიან დისტანციაზე რბენაში ჩემპიონი გახდა გლოლელი ჯ. ბელაშვილი, II ადგილზეა ბ. ბენდიანიშვილი (პიპილეთის სკოლა), III — ს. გავაშელი (გლოლა).

10 კილომეტრზე რბენაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რ. ბერიშვილი (გლოლა), ბელაშვილი და გავაშელი.

დ. ხახიაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ონი.

V ადგილს დასჯერდნენ

ბაქო, 21 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა გუნდური პირველობა. ფარიკაობის სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებდნენ ბელორუსიის ძლიერ კოლექტივს, რომელშიც სამი მსოფლიო ჩემპიონი (ე. ნოვიკოვა, ვ. სიდიაკი, ა. ნიკანჩიკოვი) გამოდიოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ფინალში რსფსრ-ს სპორტსმენებმა ძალიან იოლად აჯობეს ბელორუსიის წარმომადგენლებს და თასიც მოიპოვეს.

III ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი.

ქართველი მოფარიკავეები V ადგილს დასჯერდნენ.



სსრ კავშირის თასის გათამაშებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა გ. გოროხოვამ. მან ეს საპატიო ნადავლი ზედიზედ მესამედ დაისაკუთრა.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. გოროხოვა,
ფოტო ფ. ალიევისა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ნაზლიმოვისა და მ. რაკიტას ორთაბრძოლა.
ფოტო ფ. რაჯაბლისა.

სპორტსმენები წესრიგის სადარაჯოზე

სწორი არჩევანი

როცა საკითხი დადგა, ვინ დაენიშნათ შინაგან საქმეთა ბორჯომის რაიაღმასკომის ბაკურიანის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსად, არჩევანი ბორჯომის რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორ ელგუჯა ორჯონიკიძეზე შეჩერდა.

რაიონის მილიციის მუშაკებიდან ბაკურიანს ორჯონიკიძესავით არავინ იცნობდა. იგი ჯერ კიდევ მოწაფეობაში წაღვერიდან ხშირად დადიოდა აქ — სამთოსათხილამურო სპორტში ვარჯიშობდა, მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა. 1957 წელს ელგუჯამ სწრაფდაშვებაში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო მას შემდეგ სხვა სახეობებშიც ბევრჯერ გამოიჩინა თავი, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრების წევრი იყო და სწორედ სამთოსათხილამურო სპორტში გახდა პირველთანრიგოსანი. ამასთან, იგი კარგი მძლეოსანიც იყო — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობების პრიზიორი. ფიზკულტურის ინსტიტუტში რომ სწავლობდა, ორჯონიკიძემ მთელი ის მხარე ბორჯომიდან ტაბაწყურამდე თხილამურებით შემოიარა. ერთი სიტყვით, კარგად იცნობდა მომავალ საზედამხედველოს.

თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი რომ დაამთავრა, ე. ორჯონიკიძემ ბორჯომში დაიწყო სამსახური. წესრიგის ახალგაზრდა დამცველს ორიოდე წლის წინ მეტად საპასუხისმგებლო უბანი ჩააბარეს. ბაკურიანში ზამთრობით სათხილამურო სპორტის ათასობით მოყვარული ჩამოდის. დამსვენებლები არც ზაფხულობით ილევიან. ყოველწლიურად მატულობს ბაზების, სასტუმროების ქსელი, დაბაც დიდია. ლიბანში, პატარა ცემში, მიტარბში, გუჯარეთში, ტაბაწყურში და ბევრ სხვა სოფელში წესრიგის დაცვისთვის ზრუნვა პატარა საქმე როდია. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა ქვია-ნარიანის საძოვრებს, სადაც ზაფხულობით რესპუბლიკის რაიონების 100 ათასამდე სული ცხვარი აჰყავთ.

— როგორ დაიწყე? — ვკითხე ქვეგანყოფილების უფროსს, რომელიც, როგორც იქნა, კოხტაგორაზე დავიჭირე. მორიგი შემოვლისას თხილამურებით აქ ამოსულიყო: პუნქტის საქმიანობას ამოწმებდა, მილიციელებსა და სახალხო რაზმელებს დავალებას აძლევდა.

—სამოქმედო ზონის უფრო დეტალური შესწავლით, პუნქტების რაციონალურად განაწილებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე მოსახლეობაში საუბრებით და, რაც მთავარია, სახალხო რაზმელებთან მუშაობის გაძლიერებით. საქმეში ჩავაბით ადგილობრივი სპორტსმენები და ვეტერანები, ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტურბაზის დირექტორი კ. წაქაძე, სპეციალურ სლალომში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, სპორტის ოსტატი, „დინამოს" ბაზის დირექტორი ი. ჯანგობეგოვი, ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკის თანამშრომლები, სპორტის ოსტატი სამთოსათხილამურო სპორტში ო. ხველელიძე, მთამსვლელობის ოსტატი ო. ბერაძე და სხვები. მილიციაშიც აქტიური, გაბედული ხალხი შემოვიკრიბეთ. დაგისახელებთ, მაგალითად, მილიციის ლეიტენანტ ო. გელაშვილს, რომელიც ამას წინათ ქვეგანყოფილების ინსპექტორად დავაწინაურეთ, რიგით მილიციელებს შ. ბარბარიანს, ა. საბანოვს, ზ. ლაბაძეს, ლ. გაჩეჩილაძეს, მ. თამლიანს...

საგრძნობლად იკლო წესრიგის დარღვევის შემთხვევებმა. ამაში დიდი როლი ქვეგანყოფილების სატირულ. კედლის გაზეთს „შოლტსაც" შეუსრულებია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე უბედური შემთხვევა არ ყოფილა.

— მაგრამ დასამალი როდია, რომ ბაკურიანის სასადილოებში სპირტიანი სასმელების აკრძალვის, ან შემცირებული რაოდენობით გაყიდვისთვის რატომღაც აღარ ზრუნავენ, თუმცა მუდამ ღვინო და არაყი როდია დამნაშავე.

ამას წინათ კ. წაქაძემ დაბის ცენტრში „პობედის" მარკის მანქანა გრფ 74-38 შენიშნა. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მეორეკურსელი, 1946 წელს დაბადებული ლეილა მიხეილის ასული ბათიაშვილი, ამავე ინსტიტუტის მესამეკურსელი, 1947 წელს დაბადებული ცირა გრიგოლის ასული აბზიანიძე, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტი მარინა ივანეს ასული შევჩენკო და ვინმე თამარ სერგოს ასული ჩოფიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას პრ. № 5-ში მცხოვრები) ფრთებზე ჩამომსხდარიყვნენ და უდიერად იქცეოდნენ. წაქაძემ მათ წესრიგისკენ მოუწოდა, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ ეყოთ. მერე კი, როცა ყველამ მილიციაში ამოყო თავი, ცრემლები მოიშველიეს, მაგრამ გვიანღა იყო.

შარშან წაქაძემ ვინმე ყურაშვილს, რომელმაც ტურბაზაში დებოში ატეხა და შემდეგ დირექტორზე გაიწია, სწრაფი ხერხით ორლესული წაართვა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა რ. ხვისტანმა, რომელიც უნივერსიტეტის გუნდს საასპარეზოდ ჩამოჰყვა, მთვრალმა იხულიგნა — ბოთლით თავი გაუტეხა უცნობებს და შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ მის კვალს მიაგნეს და 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

წლეულს, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში კომკავშირულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში იხულიგნეს თბილისელებმა — ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, VI კვარტალის 25-ე კორპუსში მცხოვრებმა, 17 წლის არუთინ სიმონის ძე დავითაშვილმა და 18 წლის მინიგორ ნიკოლოზის ძე ფარაჯიანმა, რომელიც მაჩაბლის ქ. № 16-ში ცხოვრობს.

მილიციის ქვეგანყოფილებაში გვაჩვენეს ჩათვლის წიგნაკი, რომელიც ადასტურებს, რომ გურამ გრიგოლის ძე კანდელაკი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში 1960 წლიდან (!) სწავლობს. იგი ბაკურიანში დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისთვის მოწყობილ შეკრებაზე იყო ჩამოსული, დათვრა, ბაზა-პანსიონატ „სპორტის" მზარეული ბ. კახელი უმიზეზოდ სცემა და მიიმალა.

ხაშურელმა გაგი გოდერძის ძე ტაბატაძემ ტურბაზაში კ. წაქაძის არყოფნით (ვობა უკვე ჩეხოსლოვაკიაში იყო, მსოფლიო პირველობაში საასპარეზოდ) ისარგებლა, ამხანაგთან ერთად დებოში ატეხა, შესასვლელში მინები ჩაამსხვრია, მილიციელ ა. ნაბიევს თავისი დაკავებული ამხანაგი, თუ შეიძლება ითქვას, ხელიდან გააგდებინა, მაგრამ საკუთარ თავს ვეღარ უშველა.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორეკურსელებმა გიორგი მიხეილის ძე თარხნიშვილმა (იგი ცხოვრობს ლენინის ქ. № 49-ში), რევაზ არსენის ძე ბუთხუზმა (მოსკოვის პრ., II კვარტალი, II კორპუსი, ბინა 7), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა ბადრი ავთანდილის ძე მანჯგალაძემ (ულიანოვის ქ. № 2), თბილისის ავტოსატრანსპორტო საექსპლოატაციო კონტორის მუშამ მერაბ ვასილის ძე ბაქრაძემ (რიონჰესის ქ. № 57) და სხვებმა ერთმანეთი ბაკურიანში გაიცნეს, თოვლში ციგებითა და თხილამურებით სრიალს, გუნდაობას, სუფთა ჰაერზე სეირნობას ლოთობა ამჯობინეს, შემდეგ მარხილში მოკალათდნენ, იქაც ვერ მოისვენეს და წაეჩხუბნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატს, ინჟინერ ო. გოცირიძეს, რომელსაც თოვლზე მანქანა მოუცურდა და მარხილს გზა გადაუკეტა. მოხმარების მაგიერ ეს თავგასული ახალგაზრდები მათ „შეურაცხმყოფელს" დაესივნენ და მილიცია რომ არა, ვინ იცის გოცირიძეს რა ბედი ეწეოდა.

სერგო მიხეილის ძე ცხვარაძე ტურბაზაში ბილიარდის თამაშის დროს ვინმე სიგუას წაეკიდა, იჩაურობა გინებით აიკლო, ხოლო როცა წესრიგისკენ მოუწოდეს, ჭკუის დამრიგებლების გალახვა მოინდომა. ამასაც არ დასჯერდა, მილიციის ქვეგანყოფილებაში დაკითხვისას იცრუა, თითქოს ქუთაისელია და იქ მუშაობს, სინამდვილეში კი დადგინდა, რომ თბილისში, ევდოშვილის ქ. № 49-ში ცხოვრობს.

— წესრიგის დარღვევისა და ხულიგნობის არც ერთი ფაქტი არ დარჩენილა უყურადღებოდ, ყველა დამნაშავე დაისაჯა — ზოგი პასუხისგებაში მივეცით, ზოგის შესახებ მათ მშობლებს, ინსტიტუტს, დაწესებულებას ვაცნობეთ, — დაამთავრა ორჯონიკიძემ.

ბაკურიანი ხამიკვნო და ლოთების მკლავის სასინჯი „პოლიგონი" კი არა, მოთხილამურეების, სპორტსმენების მუხლის სიმტკიცის, გამბედაობის, ნებისყოფის ასპარეზი, აქტიური დასვენების კერაა და წესრიგის სადარაჯოზე მყოფნი ნებას არავის მისცემენ მყუდროება დაურღვიონ მშრომელებს, სპორტსმენებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, რომლებიც აქ დასასვენებლად თუ საასპარეზოდ ჩამოდიან.

ბაკურიანი საკავშირო მნიშვნელობის ბაზა და აგარაკია, სადაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ყოველწლიურად ათასობით ტურისტი და მოთხილამურე ჩამოდის. ჩვენი ვალია, სტუმრებს მუდამ ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ. ლოთობითა და ხულიგნობით ნუ შევბღალავთ საქართველოს ამ თეთრი მარგალიტის სილამაზეს და ჯანსაღ ჰაერს, რომელიც ყველა სტუმარს აქ მეორედ ამოსვლას მოანატრებს.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ე. ორჯონიკიძე (მარცხნივ) კოხტაგორაზე დავალებას აძლევს მილიციელ ა. საბანოვსა და სახალხო რაზმელს, სპორტის ოსტატ ი. ჯანგობეგოვს (მარჯვნივ).

ფოტო ავტორისა.

რედაქციის მადლობა

რედაქციამ მიიღო ამონაწერი თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის კათედრის ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან:

„ჩვენს პრესაში ხშირად იხსენიება ზოგიერთი თურქულენოვანი რესპუბლიკის სპორტული კლუბების და ფეხბურთის სათანადო გუნდების სახელწოდებანი. მაგალითად, „კაირატი" ან „კაირათი", „პახტაკორი", „ნეფტჩი". ეს სახელწოდებანი რუსულიდანაა გადმოტანილი და გათვალისწინებული არ არის ყაზახური, უზბეკური და აზერბაიჯანული ენების და ქართული ენის ბგერითი შესაძლებლობები. ამ სიტყვათა სწორი დაწერილობაა: „ყაირათი", „ფახთაქორი" და „ნევთჩი".

სასურველი იქნება, თუ თქვენი გაზეთი გაითვალისწინებს აღნიშნულ მდგომარეობას".

რედაქცია დიდ მადლობას უხდის ზემოხსენებული კათედრის მუშაკებს და ამიერიდან ამ შენიშვნებს გაითვალისწინებს. ამას გარდა, ყოველ სათანადო დაწესებულებას, ინსტიტუტსა თუ ორგანიზაციას, რომლებიც ჩვენს გაზეთში რაიმე უზუსტობას შენიშნავენ, ვთხოვთ შეგვატყობინონ თავიანთი აზრი, რათა შეცდომა დროულად გამოსწორდეს.

გორელთა უპირატესობით

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის ახალი სპორტული დარბაზი ამას წინათ სამბისტებს მასპინძლობდა — აქ გათამაშდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. საზოგადოების ჩემპიონთა ტიტულებს ერთმანეთს ეცილებოდა თბილისის, ბათუმის, ცხინვალის, გორის, რუსთავის, კასპის, სიღნაღისა და ხაშურის 80-მდე სპორტსმენი.

წარმატებით იასპარეზეს გორის ზამბეულის კომბინატის მოჭიდავეებმა, რომლებმაც დაისაკუთრეს კიდეც I ადგილი. საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისელი და რუსთაველი სამბისტები II და III ადგილებზე არიან.

წონითი კატეგორიების მიხედვით „განთიადის" ჩემპიონები გახდნენ: შ. მელაძე (გორი), გ. ფარადაშვილი (თბილისი), ტ. ავლოხაშვილი (რუსთავი), გ. გოგიტიძე (ბათუმი), ი. ხეთეევი (გორი), თ. გავარდაშვილი, ნ. ხორგუაშვილი (ორივე — თბილისი), ი. მამედოვი, ო. შაშვიაშვილი (ორივე — რუსთავი) და ს. გოგინაშვილი (გორი).

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

რაიონებიდან სტრიქონებით

✦ კასპი

„განთიადის" რაისაბჭოს მოშეთა გუნდურ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა „კასპიელექტროაპარატის" ნაკრებმა. II ადგილი ხვდა ცემენტის ქარხნის გუნდს, III — მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივს.

ლ. ელისაბედაშვილი.

✦ ჩოხატაური

რაიონის მოსწავლე მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 14 საშუალო და 9 რვაწლიანმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ჭაბუკთა შორის — თ. ვაჩეიშვილმა (კოხნარი), გოგონებში — ნ. რამიშვილმა (შუა სურები). გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ხიდისთავის საშუალო სკოლა. 8-წლიანი სკოლების მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში იმარჯვეს: გუნდურ ჩათვლაში — ფარცხმის სკოლამ, პირადში — ჭაბუკმა დ. ლომთათიძემ (ბუკნარი) და გოგონა დ. მახარაძემ (იანეული).

დ. ბურბენიძე,
კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

გაიცანით: ოქროს ქალღმერთის ხელის მაძიებლები

რაიმონდ გუტალსი და მისი „ჯადოქრები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების საგზურისთვის ბრძოლა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბელგიის ნაკრებმა. 1968 წლის შემოდგომის დღეებში ბელგიელთა ხელმძღვანელი — 47 წლის რაიმონდ გუტალსი ალბათ არც ფიქრობდა, რომ მისი ფეხბურთელები ყველაზე დიდ სენსაციას შემოგვთავაზებდნენ — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები გახდებოდნენ. კენჭისყრისას ბელგიელებს ბედი აშკარად არ სწყალობდათ. ისინი შესარჩევ ჯგუფში ევროპის ვიცე-ჩემპიონებთან — იუგოსლავიელებთან და კონტინენტის თასის მფლობელებთან — ესპანელებთან მოხვდნენ. შესარჩევი ტურნირის სასტარტო მატჩში ბელგიის ნაკრებმა გაჭირვებით დაამარცხა ფინეთის გუნდი ჰელსინკში — 2:1. მაგრამ 1968 წლის 16 ოქტომბერს ბრიუსელში „წითელმა ჯადოქრებმა“, როგორც დიდი ხანია უწოდებენ ბელგიელებს მათი წითელი ფორმისა და ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან თამაშის დროსაც კი სრულიად მოულოდნელი შედეგების გამო, თითქმის შეუძლებელი შეძლეს: დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი — 3:0. ცოტა მოგვიანებით „ჯადოქრებმა“ ოთხიდან 3 ქულა წაართვეს ესპანელებს (1:1 და 2:1), რომლებმაც თავის მხრივ ასეთსავე შედეგს მიაღწიეს იუგოსლავიის ნაკრებთან გამართულ ორ მატჩში (0:0 და 2:1).

15 წლის შემდეგ ბელგიის ნაკრები ასე აღმოჩნდა კვლავ მსოფლიო პირველობის ფინალისტთა რიცხვში.

— მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინასწარი მატჩების კალენდარი ჩვენი გუნდისთვის იღბლიანი აღმოჩნდა, — თქვა კენჭისყრის შემდეგ, რომელიც 10 იანვარს ჩატარდა მეხიკოში, ბელგიის ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა და ამ ქვეყნის ნაკრების მზადებისთვის პასუხისმგებელმა რ. ოსტემ. — სასტარტო მატჩი „აცტეკის“ სტადიონზე ერთმანეთს შეახვედრებს ჩვენს ორ მთავარ მეტოქეს — სსრ კავშირისა და მექსიკის ფეხბურთელებს. ბელგიელებს კი შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ ტურნირს 3 ივნისს სალვადორის დამარცხებით დაიწყებენ. ამიტომ მე იმდენად ჯგუფის შემადგენლობა არ მაღელვებს, რამდენადაც მეხიკოში გუნდების დაბინავების საქმე.

მართლაც, ბელგიელებს დიდი მღელვარება შეხვდათ, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღებდნენ გარანტიას მეხიკოს გარეუბანში თავისი მოთამაშეების მოხერხებულად დაბინავების შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბელგიამ მექსიკაში ოფიციალური ნოტა გაგზავნა: „თუ მოხერხებულ სასტუმროში არ შეგვინახავთ ადგილებს, ჩვენი ფეხბურთელები ჩემპიონატში არ გამოვლენ“. მაგრამ ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

... საფეხბურთო ციებ-ცხელება პატარა ბელგიაში ინგლისიდან ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს გავრცელდა. იგი ამ ქვეყანაში, როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, ინგლისელმა მეზღვაურებმა შეიტანეს. ჯერ 1895 წელს ბელგიაში შეიქმნა ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია. 9 წლის შემდეგ კი იგი ევროპის ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი მიიღეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. 1904 წლის 1 მაისს ბრიუსელში მინდვრის მასპინძლებმა თავიანთი პირველი მატჩი გამართეს ნაკრები გუნდების დონეზე — საფრანგეთის ფეხბურთელებთან (3:3), რომლებიც იმ დროს საერთაშორისო ფედერაციის წევრები ჯერ კიდევ არ იყვნენ.

ბელგიელები მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ თამაშებში 1930, 1934 და 1938 წლებში, მაგრამ წინასწარ ტურნირებში ისინი მუდამ მარცხდებოდნენ. ყველაზე სუსტთა შორის მოხვდნენ ბელგიელები 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბელგიის ნაკრები სამუდამოდ ასე დარჩებოდა მეორეხარისხოვანი გუნდების რიცხვში. მაგრამ ბოლო 3 წელიწადია ისინი დაწინაურდნენ — ნაკრები გუნდების დონეზე გამართულ 18 მატჩში 10 გამარჯვება მოიპოვეს. გუტალსს, რომელიც ფედერაციასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ნაკრებს 1974 წლამდე უხელმძღვანელებს, დიდი დახმარება გაუწია საქმიანმა კონტაქტებმა ბელგიის ორ წამყვან კლუბთან — „სტანდარდთან“ და „ანდერლექტთან“, რომლებიც მრავალი წელია ერთმანეთს „უთმობენ“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში ეს ორი გუნდი ხშირად გვთავაზობს სიურპრიზს. ჩემპიონთა თასის ახლანდელ გათამაშებაშიც „სტანდარდმა“ მერვედფინალში დაამარცხა პარიზის ექსგზის მფლობელი — მადრიდის „რეალი“. სწორედ „სტანდარდისა“ და „ანდერლექტის“ დახმარებით გაუკაფა გუტალსმა გზა მექსიკისკენ თავისი ქვეყნის ნაკრებს. შესარჩევი თამაშების ექვს ოქმში მან 20 მოთამაშის სახელი შეიტანა. მათგან 15 სწორედ ზემოხსენებული ორი კლუბის წევრი იყო.

მწვრთნელს უნდა გავუგოთ. ნაკრების დაცვას იგი „სტანდარდის“ მოთამაშეებს ანდობს, ხოლო შეტევას — „ანდერლექტის“ ფეხბურთელებს. წლევანდელი თებერვლის პირველ კვირას „სტანდარდმა“, რომელიც ახლა ბელგიის ჩემპიონატში ლიდერობს, დაამარცხა „ანდერლექტი“ — 2:0. დაცვა თავდასხმაზე ძლიერი აღმოჩნდა. დაცვაში ჩინებულად თამაშობდნენ „სტანდარდის“ ფეხბურთელები დევალკი, ჟეკი და ტისენი. სხვათა შორის, ტისენი ექვსივე შესარჩევ მატჩში გამოდიოდა. გამარჯვებულთა კარს საიმედოდ იცავდა ახალგაზრდა მეკარე პიო.

რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო „ანდერლექტისა“ და ნაკრების მეკარემ ტრაპანიემ, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა მწყობრში მძიმე ტრავმის შემდეგ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „სტანდარდისა“ და ნაკრების მოთამაშემ, ნახევარმცველმა ვან მურმა — ნამდვილმა ფეხბურთის დირიჟორმა.

უფერულად გამოიყურებოდა „ანდერლექტისა“ და ბელგიის ნაკრების თავდასხმის ძირითადი დამკვრელი სამეული — დევრინდტი, ვან ჰიმსტი და პიუი. ფეხბურთის მიმომხილველები და სპეციალისტები ახლა მკაცრად აკრიტიკებენ „ანდერლექტისა“ და ნაკრების კაპიტანს ვან ჰიმსტს, ასევე დევრინდტს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში 6 ბურთი გაიტანა (ინგლისის ფეხბურთის მესვეურები დიდი თანხის გადახდას აპირებდნენ, თუ ეს წყვილი დიდი ბრიტანეთის წამყვან კლუბებში გადავიდოდა).

შესანიშნავ ფორმაშია „სტანდარდის“ მარჯვენა გარემარბი და ბელგიის ნაკრების ვეტერანი ზემელინი, რომელიც ვან მურთან ერთად აწყობდა მძლავრ გარღვევებს მარჯვენა ფლანგზე და ცენტრში.

„წინასწარ ჯგუფში ჩვენი მთავარი მეტოქე სსრ კავშირის ნაკრები იქნება, მაგრამ ამ გუნდის თამაშს ბელგიაში კარგად იცნობენ, — განაცხადა ამ ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა ლ. ვუტერსმა. — იგი მძლავრია, მაგრამ სიურპრიზებს იშვიათად გვთავაზობს. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებთან — მექსიკელებთან მატჩში პირველ ყოვლისა „აცტეკის“ სტადიონის ატმოსფეროსი უნდა გვეშინოდეს. ვფიქრობთ, რომ მსოფლიო პირველობის დაწყებამდე ჩვენ მას უფრო ახლოს გავეცნობით“.

თავის 345-ე მატჩს ბელგიის ნაკრები, რომელსაც აქტივში 120 მოგება, 63 ფრე და 161 წაგება აქვს, 25 თებერვალს შინ ჩაატარებს მსოფლიო ჩემპიონებთან — ინგლისელებთან. ამ მატჩზე ერთ-ერთმა პირველებმა შეუკვეთეს ბილეთები მექსიკის, სსრ კავშირისა და სალვადორის ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა. ეს გასაგებიცაა. მათ სურთ ახლოს გაეცნონ გუნდს, რომელმაც დაარღვია ნათელი წარმოდგენა ევროპული ფეხბურთის რანგთა ტაბელზე. ამჟერად ბელგიელები მსოფლიო ჩემპიონთა წინაშე სულ სხვაგვარად წარსდგებიან: მინდორზე ისინი პირველად გამოვლენ თეთრ მაისურებსა და ტრუსებში. ეს გადაწყვეტილება ფედერაციამ ამას წინათ მიიღო.

... მეხიკოს სტარტებამდე დიდი დრო აღარ დარჩა...

ა. კაჩალოვი.
(საკდესის კორ.).

* * *

მოკლე ცნობები ბელგიის ნაკრების წამყვან მოთამაშეებზე.

მეკარეები: **ჟან ტრაპანიე** („ანდერლეჰტი“). 28 წლისა (სიმაღლე — 177 სმ, წონა — 67 კგ). ათჯერ გამოდიოდა ნაკრების შემადგენლობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თოთხმეტჯერ მოიპოვა ბელგიის ჩემპიონის წოდება.

კრისტიან პიო („სტანდარდი“, ლიეჟი). 22 წლისა (185-85). ორჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

მცველები: **ჟორჟ ჰილენსი** („ანდერლეჰტი“). 28 წლისა (168-68). 46-ჯერ იცავდა ნაკრების ღირსებას. სწრაფი და მოქნილი მოთამაშე. უყვარს სწრაფი გარღვევები მარჯვენა ფლანგზე.

ლეონ ჟეკი („სტანდარდი“). 23 წლისა (182-85). ექვსჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

ჟაკ ტისენი („სტანდარდი“). 24 წლისა (178-78). ორჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

ნიკო დევალი („სტანდარდი“). 24 წლისა (178-79). ორჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

ჟან კორნელისი („ანდერლეჰტი“). 28 წლისა (177-73). ორმოცჯერ იცავდა ნაკრების სახელს. ჯერ თავდასხმაში თამაშობდა, შემდეგ კი ნახევარდაცვაში.

ნახევარმცველები: **ვილფრიდ ვან მური** („სტანდარდი“). 25 წლისა (168-68). თოთხმეტჯერ თამაშობდა ნაკრებში. ფეხბურთის მიმომხილველებმა ამას წინათ მას მიაკუთვნეს პრიზი „ოქროს ბუცი“, როგორც ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელს 1969 წელს.

ჟაკ დოკი („რესინგი“). 28 წლისა (175-78). ცხრაჯერ იცავდა ნაკრების ღირსებას.

ოდილონ პოლენისი („სინტ-ტრეიდენი“). 27 წლისა (175-76). ცხრაჯერ თამაშობდა ნაკრებში.

თავდამსხმელები: **პოლ ვან ჰიმსტი** („ანდერლეჰტი“). 26 წლისა (177-80). 52-ჯერ გამოდიოდა ნაკრებში. კლუბისა და ეროვნული ნაკრების კაპიტანი. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე.

ვილფრიდ პიუი („ანდერლეჰტი“). 27 წლისა (170-66). ორმოცჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

იოჰან დევრინდტი („ანდერლეჰტი“). 25 წლისა (176-82). ცამეტჯერ დაიცვა ნაკრების სახელი. მაღლისმიერი სტილის ცენტრალური თავდამსხმელი. ნაკრების შემადგენლობაში თამაშის პერიოდში გაიტანა 11 ბურთი.

ლეონ ზემელინი („სტანდარდი“). 30 წლისა (166-69). თოთხმეტჯერ თამაშობდა ნაკრებში.

რაულ ლამბერი („ბრიუგე“). 25 წლისა (175-79). ოთხჯერ გამოდიოდა ნაკრებში.

ჯონი ტიო („ბრიუგე“). 25 წლისა (175-75). თოთხმეტჯერ იცავდა ნაკრების სახელს.

იან ვერჰეინი („ბეერსჰოტი“). 25 წლისა (172-69). ცხრაჯერ იცავდა ნაკრების ღირსებას.

ჟორჟ ბერტონჩელო („შარლერუა“). 26 წლისა (160-65). ნაკრების დებიუტანტი.

* * *

სურათზე: ვან ჰიმსტი ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში იღებს ერთ-ერთი გუნდის ვარჯიშს.

ნუთუ უფიშეროდ?

საჭადრაკო სამყაროში ახლა ბევრს ბჭობენ სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ მოჭადრაკეთა გუნდების მომავალი შეხვედრის თაობაზე. ინტერესი იმდენად დიდია, რომ მიმომხილველებმა ამ პაექრობას „საუკუნის მატჩი“ უწოდეს.

ამ შეხვედრის გამართვა ფიდე-მ იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციას დაავალა. ორგანიზატორებმა გამოაცხადეს: მატჩი ჩატარდება ბელგრადში 29 მარტიდან 6 აპრილამდე, თითოეულ გუნდში 10 ძირითადი და 2 სათადარიგო მოთამაშე შევა. მეტოქენი ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. ის, ვინც პირველ სამ დაფაზე საუკეთესო შედეგს მიაღწევს, ჯილდოდ ავტომანქანას მიიღებს.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ მილიონობით ჭადრაკის მოყვარულს ის უფრო აინტერესებს, ვინ დაიცავს „დანარჩენი მსოფლიოს“ პრესტიჟს. საქმე ისაა, რომ სსრ კავშირის გუნდის შედგენა ძნელი არ არის, მაშინ, როცა „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდისთვის არც ისე ადვილია უძლიერესი შემადგენლობის შერჩევა. ალბათ ამიტომ ფიდე-მ ეს საჩოთირო საქმე ღვაწლმოსილ და გამოცდილ მოჭადრაკეს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ეივეს შესთავაზა.

ჰოლანდიელი დიდოსტატი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა გუნდის შედგენას. მან ექსპერტების დახმარებით თვალი გადაავლო „დანარჩენი მსოფლიოს“ გამოჩენილი მოჭადრაკეთა შემოქმედებას, აწონ-დაწონა მათი გამოცდილება, შესაძლებლობა და გუნდში შეიყვანა ფიშერი, ლარსენი, პორტიში, ჰორტი, გლიგორიჩი, რეშევსკი, ნაიდორფი, ივკოვი, მატულოვიჩი, ოლაფსონი, დარგა და შმიდტი.

ეივეს ყველაზე მეტად ფიშერის მონაწილეობის საკითხი აწუხებდა. ამ ბოლო დროს, როგორც ცნობილია, ამერიკელი დიდოსტატი თავს არიდებს ტურნირებს, ამიტომ ეივემ თავად მიაშურა ნიუ-იორკს, რათა ფიშერს პირადად მოლაპარაკებოდა. მაგრამ ამაოდ დაშვრა. მან ვერ ნახა ფიშერი და არც არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

„დანარჩენი მსოფლიოს“ სხვა დიდოსტატებისგან თანხმობა ეივემ დროულად მიიღო, ესაა, რომ სულ ახლახან უარი განაცხადა ნაიდორფმა. ლარსენს არაფერი უთქვამს იმის გამო, რომ მეორე დაფაზე გამოვა, ოღონდ ფიშერმა ითამაშოსო. ყველამ იცის, რომ ლარსენი საკუთარ თავს ფიშერზე მაღლა აყენებს, მაგრამ ავი ენები ამბობენ: ლარსენი ფიშერს პირველ დაფას იმიტომ უთმობს, რომ თავად სპასკისთან ვერ თამაშობს წარმატებითო. ალბათ ასეცაა.

დაირხა ხმა: ფიშერი თანახმაა ბელგრადში ჩამოვიდესო. ამას წინათ მოსკოვში ყოფნისას იუგოსლავიელმა ნ. ლაზარევიჩმა თქვა: „ორი თვის წინ, როცა ცნობილი გახდა, რომ ფიშერმა უარი განაცხადა ითამაშოს მატჩი ბოტვინიკთან, დოქტორ ეივეს ვესაუბრე. ფიშერი ალბათ არ მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების მატჩში, მითხრა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა. მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ ფიშერი ჩამოვა იუგოსლავიაში. მას უყვარს თამაში ჩვენს ქვეყანაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ტურნირებში ფიშერს არავითარი ექსცესები არ შეხვედრია“.

გამოცანად რჩება, რატომ არიდებს თავს ფიშერი ძლიერ ტურნირებში მონაწილეობას. ბოტვინიკის თქმით, ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვების არც თუ პატარა შანსი აქვს, ოღონდ ერთი პირობით — თუ მსოფლიო პირველობის შეჯიბრებებში ითამაშებს. ამბობენ, ამერიკელს დიდ ტურნირებში თამაშის პასუხისმგებლობა აშინებს.

„რა თქმა უნდა, ფიშერი შესანიშნავად თამაშობს, — ამბობს ლაზარევიჩი, — მაგრამ ამჟამად მისი ფსიქიური მდგომარეობა შიშს იწვევს. შეიძლება ეს ბავშვობაში გადატანილი რაიმე ავადმყოფობის შედეგია. არ ვფიქრობ, რომ ფიშერი სულით ავადმყოფია, მაგრამ, ფსიქიატრების აზრით, მას აუცილებლად სჭირდება ორწლიანი მკურნალობა“.

საბჭოთა დიდოსტატები დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ „დანარჩენ მსოფლიოს“ გუნდთან მატჩს. პეტროსიანის აზრით, ეს ისტორიული ორთაბრძოლა იქნება. თითოეული მიკრომატჩი უკიდურესობამდე დაძაბულ ბრძოლაში ჩაივლის. მსოფლიოს ექსჩემპიონი იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქვეყნის ნაკრები გაიმარჯვებს.

ბოტვინიკი ფიქრობს, რომ ეს მატჩი არ გამოიწვევს ანტაგონიზმს საბჭოთა და უცხოელ მოჭადრაკეებს შორის. მატჩის შედეგი, ამბობს იგი, ჩემთვის უცნობია, რადგან დაეცა ზოგიერთი საბჭოთა დიდოსტატის, მათ შორის, ჩემი თამაშის კლასიკა.

ტალი პირდაპირ აცხადებს: გაიმარჯვებს საბჭოთა გუნდი 5 ქულის უპირატესობით. იგი მისთვის ჩვეული სითამამით ეივეს უკარნახებს „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდის შემადგენლობას, სადაც ბრაზილიელი მეკინგიც შეჰყავს სხვათა შორის. ტალი დასძენს, რომ ფიშერის უარის შემდეგ საინტერესო არ იქნება სპასკისა და ლარსენის შეხვედრა, ვინაიდან დანიელ დიდოსტატს სრულიად არ შეუძლია სპასკის წინააღმდეგ თამაში.

ნუთუ „საუკუნის მატჩი“ უფიშეროდ ჩატარდება? მას ჯერ უარი არ უთქვამს...

თ. ბიორბაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ცხოვრება

კრივი. სპორტის სასახლე. **22-23 თებერვალი. პროფკავშირთა საკავშირო პირველობის ზონალური შეჯიბრება** (მონაწილეობენ აზერბაიჯანის, მოლდავეთის, სომხეთისა და საქართველოს პროფკავშირთა უძლიერესი მოკრივეები). დასაწყისი 19 ს.

მძლეოსნობა. იპოდრომი. **დღეს: თბილისის საგაზაფხულო პირველობა კროსში.** მონაწილეობენ საწარმოთა კოლექტივების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების გუნდები. დასაწყისი 11 ს.